

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

02. 06. 2017 წელი

2 ეგზ.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N27/36

2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1	შემოკლებანი:.....	3
2	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
3	აუდიტის მიზანი და მასშტაბი	4
4	საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	5
5.	ძირითადი ტექსტი	8
5.1	ადამიანური რესურსების მართვა.....	8
5.1.1	ხელფასი	8
5.1.2	თანამშრომელთა წახალისება.....	10
5.2	სახელმწიფო შესყიდვები	11
5.2.1	მონიტორის შესყიდვა	11
5.2.2	სტუდენტთა საცურო პროექტიკა.....	12
5.3	ინვენტარიზაცია	13
5.4	ქონების განკარგვის მდგომარეობა	14

1 შემოკლებანი:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - საზღვაო აკადემია

2 შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

- სათანადოდ არ ხორციელდება აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლის მიერ სამსახურში გამოუცხადებლობის შესახებ შეტყობინების, გაცდენილი სალექციო საათების აღდგენის და ჩანაცვლების, დადგენილი წესის შესაბამისად, ეფექტური ადმინისტრირება;
- საზღვაო აკადემიაში თანამშრომელთა პრემირებისას არ ხდება თანამშრომელთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა შეფასება;
- საზღვაო აკადემიას, მონიტორების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებამდე, არ მიუღია საქართველოს მთავრობის თანხმობა, რითაც შეუსრულებელია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის N252 დადგენილების მოთხოვნები;
- საზღვაო აკადემიაში, საცურაო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმებულ ხელშეკრულებების მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებული ციფრობრივი მონაცემები არ შეესაბამება რეალურად მიღებულ მომსახურებას, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს;
- არ არის ჩატარებული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. ასევე საზღვაო აკადემიის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან, დადგენილი წესით არ არის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება, სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ;
- საზღვაო აკადემიის მიერ, მოიჯარის მხრიდან საიჯარო ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, არ იქნა მიღებული ეფექტური და დროული გადაწყვეტილება, ქონების დაბრუნების და მისი შემდგომი განკარგვის შესახებ.

რეკომენდაციები საზღვაო აკადემიას:

- საზღვაო აკადემიამ, შესაბამისი სამსახურების მეშვეობით, განახორციელოს აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის შესრულების მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლის/სპეციალისტის რეალურად გაწეული შრომის სამართლიან ანაზღაურებას;
- საზღვაო აკადემიამ უზრუნველყოს თანამშრომელთა მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ მათი წახალისების მექანიზმის გამოყენების საფუძველი გახდება;

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულებაზე დაწესდეს სათანადო კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული მომსახურების რეალურად ასახვას;
- უზრუნველყოს საზღვაო აკადემიის ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება;
- უზრუნველყოს მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან წერილობითი ხელშეკრულებების გაფორმება, სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ;
- საზღვაო აკადემიამ უზრუნველყოს მოიჯარის მიერ არსებული დავალიანების ამოღება და მის სარგებლობაში არსებული ქონების განკარგვა, დაწესებულების მიზნების შესაბამისად.

3 აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში ორგანიზაციის მიერ, მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა დაწესებულების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს საზღვაო აკადემიის 2016 წლის შემდეგი ძირითადი საქმიანობა:

1. ადამიანური რესურსების მართვა;
2. სახელმწიფო შესყიდვები;
3. ინვენტარიზაცია;
4. ქონების განკარგვის მდგომარეობა.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საზღვაო აკადემიის 2016 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

4 საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საზღვაო აკადემია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნდა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 აპრილის N79 დადგენილებით და განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – ბათუმის საზღვაო აკადემიის უფლებამონაცვლედ. აკადემიას სტატუსი - სასწავლო უნივერსიტეტი მიენიჭა საქართველოს მთავრობის 2009 წლის N184 დადგენილებით. საზღვაო აკადემიის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

საზღვაო აკადემიის მმართველი სუბიექტებია - საზღვაო აკადემიის რექტორი, სენატი, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საზღვაო აკადემიის რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

საზღვაო აკადემია, კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებების ფარგლებში, ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიან საწვრთნელ პროგრამებს/კურსებს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების მეშვეობით.

საზღვაო აკადემიის სტრუქტურული ერთეულებია:

- ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები;
- დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულები;
- დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

1. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები

- საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი;
- ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი.

2. დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულები

- მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი;
- პროფესიული მომზადების ცენტრი;
- აკადემიის ბიბლიოთეკა.

3. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

- რექტორის აპარატი;
- ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახური;
- პრაქტიკის უზრუნველყოფის სამსახური;
- კანცელარია;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- მატერიალური რესურსების მართვის სამსახური;
- შეფასებისა და გამოცდების სამსახური;
- კულტურისა და სპორტის სამსახური;
- უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახური;
- საინფორმაციო ტექნოლოგიები სამსახური.

საზღვაო აკადემია, 2016 წელს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებისას, ხელმძღვანელობდა დამტკიცებული წესდების შესაბამისად, აგრეთვე შესაბამისი კანონმდებლობით:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს საზღვაო კოდექსი ;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №002 „მეზღვაურთა სერტიფიკატების ფორმების, მათი გაცემისა და გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის

ბრძანება №120/ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“;

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N74 „სამანქანო განყოფილების მეზღვაურის პროფესიული სტანდარტის შესახებ“;

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N73 „გემბანის მეზღვაურის პროფესიული სტანდარტის შესახებ“;

- მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების დანართი №2-ით დამტკიცებული, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესი;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №19/ნ 2011 წლის 18 თებერვალი ქ. თბილისი „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №224/ნ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/ მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“;

- ISO 9001:2008 ხარისხის მართვის სისტემა. მოთხოვნები;

- ISO 9000:2005 ხარისხის მართვის სისტემა. ძირითადი პრინციპები და ლექსიკონი;

- ISO 9004:2009 ორგანიზაციის მართვა მდგრადი განვითარების კუთხით - ხარისხის მართვის მიდგომა;

- ISO 19011:2011 ხარისხის მართვის სისტემის აუდიტის სახელმძღვანელო;

- STCW - საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ;

- სხვა საერთაშორისო და საქართველოს სამართლებრივი აქტები.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2016 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა 6 310.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 6 122. 7 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია ეკონომიკური კლასიფიკაციის ძირითადი მუხლების ხარჯვითი ნაწილის შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები და პროგრამების დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება
ხარჯები	5734029	5734029	5648837
შრომის ანაზღაურება	3381800	3381800	3381003
თანამდებობრივი სარგო	3025900	3025900	3025838

პრემია	355900	355900	355165
საქონელი და მომსახურება	2085977	2085977	2016304
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	982000	982000	956617
მივლინებები	135000	135000	131015
ოფისის ხარჯები	362977	362977	351373
წარმომადგენლობითი ხარჯები	26000	26000	21360
კვების ხარჯები			
სამედიცინო ხარჯები	10000	10000	6074
რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	15000	15000	11226
ტრანსპორტისა ექსპლუატაციის და მოვლა- შენახვის ხარჯები	45000	45000	33898
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	510000	510000	504741
სუბსიდიები	32652	32652	32652
სოციალური უზრუნველყოფა			
სხვა ხარჯები			
არაფინანსური აქტივების ზრდა	570000	570000	468224
გაღდებული პენიების კლება	6000	6000	5665


5. ძირითადი ტექსტი

5.1 ადამიანური რესურსების მართვა

საზღვაო აკადემიის წესდების თანახმად, აკადემიის რექტორი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან შეთანხმებით, ამტკიცებს აკადემიის საშტატო განრიგსა და თანამდებობრივ სარგოებს, ხოლო დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომელთა მიმართ წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ. საშტატო განრიგის შესაბამისად, 2016 წელს განისაზღვრა 222 საშტატო ერთეული, რეალურად დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 221 ადამიანს. წლის განმავლობაში ვაკანტური იყო ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. გარდა ამისა, ადმინისტრაციაში 29 თანამშრომელთან წლის განმავლობაში, სხვადასხვა პერიოდით გაფორმებული იყო შტატგარეშეთა ხელშეკრულებები.

5.1.1 ხელფასი

საზღვაო აკადემიაში, 2016 წელს დარიცხულმა ხელფასმა სულ შეადგინა 4 337.6 ათასი ლარი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა დარიცხული თანამდებობრივი სარგო - 3 025.8 ათასი ლარი, პრემია - 355.2 ათასი ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 956.6 ათასი ლარი. გაცემული პრემია თანამდებობრივი სარგოს 11.7% შეადგენს.



დიაგრამა 1. მთლიანი შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯი.

ხელფასი, საშტატო ნუსხით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ პერსონალზე, გაიცემა დამტკიცებული საშტატო განრიგის საფუძველზე, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასი განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით. საზღვაო აკადემიის აკადემიურ პერსონალს განეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი. აკადემიის შესაბამისი ფაკულტეტი უფლებამოსილია, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის, რექტორს წარუდგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის კანდიდატურა, რომლის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

კრიტერიუმი

აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლის მიერ აკადემიური დატვირთვით განსაზღვრული საათების გაცდენის შემთხვევაში, მოხდება გაცდენილი საათების ანაზღაურების დაქვითვა, აკადემიური დატვირთვით განსაზღვრული საათების ანაზღაურების პროპორციულად¹.

გამოვლენილი გარემოება

აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვა ერთ სრულ განაკვეთზე, სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 340 საათს. იმ შემთხვევაში თუ აკადემიური პერსონალის მოწვევა აუცილებელი ხდება დამატებით საათებზე, აკადემიური პერსონალის დამატებითი დატვირთვის ოდენობა განისაზღვრება საშტატო ერთეულით განსაზღვრული დატვირთვის ნახევრით. აკადემიურ პერსონალს, სააუდიტორიო დატვირთვით განსაზღვრული საათების გაცდენის და მათი არაღდგენის შემთხვევაში, გაცდენილი საათების ანაზღაურება ექვითებათ

¹ აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

პროპორციულად ანაზღაურებიდან. ასევე აკადემიის მიერ განსაზღვრულია, მოწვეული მასწავლებლის და სპეციალისტების ერთი საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, 2016 წლის განმავლობაში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ხდებოდა აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების/სპეციალისტების მიერ გაცდენილი სალექციო საათების სხვის მიერ ჩატარება. მიუხედავად ამისა, საზღვაო აკადემიის მიერ ჩატარებული სალექციო საათების ანაზღაურება ერიცხებოდა არა იმ პირს ვინც რეალურად ჩაატარა ლექცია, არამედ იმას ვის ნაცვლადაც ჩატარდა ლექცია.

დასკვნა

სათანადოდ არ ხორციელდება აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლის მიერ სამსახურში გამოუცხადებლობის შესახებ შეტყობინების, გაცდენილი სალექციო საათების აღდგენის და ჩანაცვლების, დადგენილი წესის შესაბამისად, ეფექტური ადმინისტრირება.

რეკომენდაცია

საზღვაო აკადემიამ, შესაბამისი სამსახურების მეშვეობით, განახორციელოს აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის შესრულების მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლის/სპეციალისტის რეალურად გაწეული შრომის სამართლიან ანაზღაურებას.

5.1.2 თანამშრომელთა წახალისება

კრიტერიუმი

საზღვაო აკადემიის წესდების თანახმად, თანამშრომელთა მიმართ წახალისების ზომების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის რექტორი. საზღვაო აკადემიაში მოქმედებს თანამშრომელთა წახალისების სისტემა პრემიის სახით, რომელიც საზღვაო აკადემიაში დამკვიდრებული წესის შესაბამისად, გაიცემა აქტიური და წარმატებული მუშაობისათვის.

გამოვლენილი გარემოება

საზღვაო აკადემიის თანამშრომლებზე, აქტიური და წარმატებული მუშაობისათვის, თებერვლის² და აპრილის³ თვეებში გაიცა პრემია იმ პირობებში, როდესაც ორი თანამშრომელი მთელი თვის განმავლობაში იმყოფებოდა შვებულებაში⁴. აღნიშნული ხარვეზი გამოწვეულია იმით, რომ სასწავლებელში არ მოქმედებს თანამშრომელთა შეფასების სისტემა.

² ბრძანება N2-184, 15.02.2016წ.

³ ბრძანება N2-226, 26.04.2016წ.

⁴ ბრძანება N4-12, 13.01.2016წ; ბრძანება N4-77, 22.03.2016წ; ბრძანება N4-105, 25.04.2016წ.

დასკვნა

საზღვაო აკადემიაში თანამშრომელთა პრემირებისას არ ხდება თანამშრომელთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა შეფასება.

რეკომენდაცია

საზღვაო აკადემიამ უზრუნველყოს თანამშრომელთა მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ მათი წახალისების მექანიზმის გამოყენების საფუძველი გახდება.

5.2 სახელმწიფო შესყიდვები

2016 წელს საზღვაო აკადემიის მიერ სულ გამოცხადდა 40 ტენდერი. მათ შორის, 7 შემთხვევაში ტენდერი არ შედგა, 3 შემთხვევაში დასრულდა უარყოფითი შედეგით, 1 შემთხვევაში შეწყდა ტენდერი, ხოლო 29 შემთხვევაში გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

შესაბამის პერიოდში, სულ გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 313 ხელშეკრულება. მათ შორის, 3 ერთეული - კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, 29 ერთეული - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხოლო 281 ერთეული - გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

5.2.1 მონიტორის შესყიდვა

კრიტერიუმი

საქართველოს მთავრობის დადგენილებით⁵ განისაზღვრა შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV კოდები) მიხედვით კლასიფიკატორის კოდები (მათ შორის 30231000), რომელთა ფარგლებშიც, საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებდა საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას.

გამოვლენილი გარემოება

საზღვაო აკადემიის მიერ, 7 ცალი ბრტყელი მონიტორის (CPV 30231310) შესყიდვის მიზნით, გამოცხადებულ იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე⁶, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 40.0 ათასი ლარი. კლასიფიკატორის აღნიშნული კოდით სახელმწიფო შესყიდვა, მთავრობის დადგენილების თანახმად, საჭიროებდა საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას. დადგენილების თანახმად, შეთანხმებისაგან თავისუფლდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საქართველოს განათლებისა

⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება N252, 09.06.2016წ.

⁶ NAT160003408

და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახსრებიდან განხორციელებული შესყიდვები. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ შემსყიდველმა ტენდერის გამოცხადებამდე მიმართა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და გამომდინარე იქედან, რომ საზღვაო აკადემია წარმოადგენდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ითხოვა ელექტრონული ტენდერის გამოცხადება, საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის გარეშე.

დასკვნა

საზღვაო აკადემიას, მონიტორების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებამდე, არ მიუღია საქართველოს მთავრობის თანხმობა, რითაც შეუსრულებელია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის N252 დადგენილების მოთხოვნები.

5.2.2 სტუდენტთა საცურო პრაქტიკა

კრიტერიუმი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების⁷ თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის 81 სტუდენტის და გემბანის რიგითი მეზღვაურის 81 სტუდენტის საცურო პრაქტიკა.

გამოვლენილი გარემოება

საზღვაო აკადემიამ, გამარტივებული ელექტრონული ტენდერების⁸ საშუალებით, ხელშეკრულებები გააფორმა მიმწოდებელთან, რომელმაც სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის 81 სტუდენტის და გემბანის რიგითი მეზღვაურის 81 სტუდენტის საცურო პრაქტიკის უზრუნველყოფის ვალდებულება აიღო. წარმოდგენილი ინფორმაციით, კერძოდ, სტუდენტთა აღრიცხვის ჟურნალისა და კვალიფიკაციის მინიჭებისა და სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებების თანახმად, პრაქტიკა გაიარა სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის 73 სტუდენტმა და გემბანის რიგითი მეზღვაურის 68 სტუდენტმა. მიუხედავად ამისა, მიღება-ჩაბარებების აქტებში დაფიქსირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტუდენტთა ზუსტი ოდენობა.

დასკვნა

საზღვაო აკადემიის მიერ, საცურო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმებულ ხელშეკრულებების მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებული ციფრობრივი

⁷ ხელშეკრულება N77, 04.04.2016წ; ხელშეკრულება N144, 09.06.2016წ;

⁸ SPA160009510, SPA160015597

მონაცემები არ შეესაბამება რეალურად მიღებულ მომსახურებას, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულებაზე დაწესდეს სათანადო კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული მომსახურების რეალურად ასახვას.

5.3 ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ახორციელებს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას⁹. საჯარო ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად, ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან, დადგენილი წესით იდება წერილობითი ხელშეკრულება, სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ¹⁰.

გამოვლენილი გარემოება

საზღვაო აკადემიის რექტორის 2015 წლის 25 დეკემბრის N1-101 ბრძანებით, ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია. კომისიას ინვენტარიზაციის შესახებ დასკვნა უნდა წარმოედგინა 2016 წლის 30 აპრილს, თუმცა ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებით სამჯერ გადაიწია შესრულების ვადა და საბოლოოდ განისაზღვრა 2016 წლის 31 დეკემბერი. მიუხედავად ამისა, ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია დასრულებული არ არის.

საზღვაო აკადემიის მიერ, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან, დადგენილი წესით არ არის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება, სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

დასკვნა

საზღვაო აკადემიის მიერ არ არის ჩატარებული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, ასევე მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

რეკომენდაცია

საზღვაო აკადემიამ უზრუნველყოს:

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-13 მუხლი.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტი.

- საზღვაო აკადემიის ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება;
- მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან წერილობითი ხელშეკრულებების გაფორმება, სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

5.4 ქონების განკარგვის მდგომარეობა

კრიტერიუმი

საზღვაო აკადემიის ქონება შედგება სახელმწიფოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, გადაცემული ქონებისაგან და თავისი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან. საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობა ვალდებულია დაიცვას და ეფექტურად განკარგოს სასწავლებლის ქონება.

გამოვლენილი გარემოება

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმი სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ, 2016 წლის 22 თებერვალს, 2 წლის ვადით, კვების ობიექტის მოწყობისა და ფუნქციონირების მიზნით, გამოცხადდა აკადემიის სარგებლობაში არსებული 126 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის¹¹ პირობებიანი ელექტრონული აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულთან გაფორმებული ხელშეკრულების¹² თანახმად, საიჯარო ქირა განისაზღვრა წლიურად 25426 ლარის ოდენობით, ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობა შეადგენდა 2 118,84 ლარს, რომელიც უნდა გადახდილიყო ყოველი თვის 10 რიცხვში. ხელშეკრულების გაფორმებიდან ორ თვეში, მოიჯარემ მოიჯარეს მიმართა წერილით¹³, სადაც მიუთითა, რომ მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ვერ ახერხებდა ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ითხოვა იჯარის ობიექტის ქვეიჯარით გაცემა იმავე პირობებით, რაზეც თანხმობა მიიღო.

ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, მოიჯარის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულება. კერძოდ, არ მოხდა საიჯარო ქირის გადახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზღვაო აკადემიამ მიმართა სასამართლოს, რა დროსაც დავალიანება შეადგენდა 8 873,58 ლარს. აღნიშნული სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განუხილველად იქნა დატოვებული, რადგანაც მოსარჩელემ არ შეასრულა თავისი ვალდებულება და მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი ან შუამდგომლობა, გზავნილის საჯარო შეტყობინებით გავრცელების თაობაზე, სასამართლოს არ წარუდგინა. საზღვაო აკადემიის მიერ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში მიღებული იქნა გადაწყვეტილება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

¹¹ საკადასტრო კოდი 05.23.05.006.

¹² ხელშეკრულება N11, 2016 წლის 29 თებერვალი.

¹³ წერილი N02-01/2007, 04.05.2016წ.

დასკვნა

საზღვაო აკადემიის მიერ, მოიჯარის მხრიდან საიჯარო ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, არ იქნა მიღებული ეფექტური და დროული გადაწყვეტილება ქონების დაბრუნების და მისი შემდგომი განკარგვის შესახებ.

რეკომენდაცია

საზღვაო აკადემიამ უზრუნველყოს მოიჯარის მიერ არსებული დავალიანების ამოღება და მის სარგებლობაში არსებული ქონების განკარგვა, დაწესებულების მიზნების შესაბამისად.

ირაკლი ანანიძე

/წამყვანი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/ 

მინდია ჯორთმენაძე

/აუდიტორი/ 

უჩა პაპუკაშვილი

/აუდიტორ-ასისტენტი 

2.06.2017წ.